

# მწევესი

№ 24  
1883-1891



ნუ გარ მწევესი კეთილი: მწევესმან კეთილმან სული თვისი დაჰსდგის ცხოვართათვის. (იოან. 10—11).  
 გოგმი ცხოვარი ჩემი წარწევეული. ესრეთ იყოს სხარული ცათა შინა, ერთსათვის ცოდვილისა. (ლევ. 15—4).  
 მოვედით ჩემად უოველი მასურადნი და ტვირთ-მიძიენი და გე განგისვენო თქვენ. (მათ. 11—28).

№ 24

1883-1891

30 დეკემბერს.

გ ა ზ ე თ ი ს ფ ა ს ი:

იმ წევესი	მწევესი	რუსული გამოცემით
12 თითით	3 მან.	12 თითით
6 —	3 —	6 —
		4 —

ღულისა და წერილების გეგზავნა შეიძლება ამ აღრესით: მს. *Каврица*, *Въ рѣчицѣ*, *„Микелси“* и *„Пастырѣ“*.


ველა სტატიები და კორესპონდენციები, რომელნიც იქნებან დასაბეჭდავით გამოგზავნილი გრცლად და გასაგებად უნდა იყვნენ ავტორათგან ხელმოწერილი.  
 სტატია, რომელიც არ დაბეჭდება, სწამი თვის განმავლობაში შეიძლება ავტორებს მაისის ხარჯით უკანვე დაუბრუნოს სტატიები მიიღებინან რუსულს ენაზე დაწერილინიც და თარგმნით დაბეჭდებინან.

ნიკარმიის მარკიის სამღვდლოების დავაბატო პრეპა ბ. ქუთაისში.

(დასასრული \*)

4 ნოემბერს, საღამოს, კრების თავსჯდამარემ მ. გ. ცაგერევი შეიღმა განუცხადა დებუტატებს შემდეგი: ჟაოსულს წელში მასწავლებლებმა მ. ფხაკაძემ და მ. ცაგარევი შეიღმა სთხოვეს კრებას მესამედი ჯამაგერი დასაბიანებელად. კრებამ მათ უარი გამოუცხადა, მაგრამ მასწავლებლის სამმართველოს, წინააღმდეგ სამღვდლოებშია დადგენილობა, მიუხედავად მათთვის ეს ფულუბია. ამ განცხადებამ დიდი ბასი გამოიწვია დებუტატთ შორის, რომელთაც ძალიან

საწყევად დაურჩათ მასწავლებლის სამმართველოს ასეთი განკარგულება. წარსულს წელში დებუტატებმა უარი უთხრეს სტენებულ მასწავლებელთ იმ მოსახრებით, რომ ეს მასწავლებელი დიდი ხანია, რაც დაბრუნებულნი არიან, და მასთან იმაც მიიღეს დებუტატებმა სახეში, რომ ეს მასწავლებელი სამღვდლოებისაგან ჯამაგირზე 80 მ. მანეთს მეტს იღებენ წელიწადში. ჩვენის აზრით ეს საბუთები სრულიად საკმაო იყო, რომ კრებამ მათ უარი უთხრა, სამმართველოს კი სახეში არ მიუღია ცხები და დაუკმაყოფილებია სტენებული მასწავლებელი, მასწავლებლის სამმართველოს ასეთი განკარგულება ისე საწყევად დაურჩათ დებუტატებს, რომ მათ მოინდომეს მოკელოთ სტენ-





ბულ მასწავლებელთათვის ის 80 მან., რომელიც მათ სამღვდლოებისაგან ეძლევათ ყოველს წლობით. საქმე იქამდის მივიდა, რომ კენჭი უნდა ჩამოეტარებოდა, მაგრამ თავსმჯდომარე, რომელმაც ასეთი ალიაქოთი აღძრა ამ საკნის შესახებ, წინააღმდეგი იყო დეპუტატების აზრისა. მან განაცხადა, რომ თუ მოვალეობით მომეტებულს 80 მანეთს, ყველა მასწავლებლებს მოვალეობით, რომელთაც ეს მომეტებული ფული ეძლევათ. მაგრამ კრება ამაზე არ დაეთანხმა თავსმჯდომარეს და ზოგიერთ მოსახრებათა გამო ეს კითხვა დაუბოლოვებელი დარჩა.

ბ. მ. შეიძლება ორივე სიტყვა არა ესთქვათ მასწავლებლის ბ. მ. ფხაკაძის შესახებ.

ბ. მ. ფხაკაძე, დიდი ხანია, რაც მასწავლებლის სამმართველოში ასრულებს გადაწყვერის თანამდებობას. ამ თანამდებობას ასრულებს იგი მასწავლებლის ნამყოფ ზედამხედველის იაკ. ფხაკაძის დროიდან დღემდე და მუდამ სამღვდლოებას ჯაბაგირის მომატებას სთხოვს და ამბობს, რომ ეს თანამდებობა ძალიან ძნელია. მაგრამ ვასკვირებ ის არის, რომ ამავე დროს ბ. ფხაკაძე არის გემე მასწავლებლის წინათსაკაცისა, როდესაც შეიძლება, რომ ეს მოვალეობა დაეთმო მას სხვა პირისათვის, რომელსაც უფრო თავისუფალი დრო აქვს.

ჩვენის აზრით, მასწავლებლის სამმართველოში გადაწყვერის თანამდებობა არ უნდა მიეცეს მასწავლებლის არც ერთ მასწავლებელს, არამედ ამ თანამდებობაზედ უნდა მოწვეულ იქნეს სულ გარეშე პირი. ასეთი პირის შიგნით არც საწვლად იქნება, რადგან დღეს ბევრი არიან, რომელთაც მშვენიერი წერა იციან და ოც-დახუთი მანეთიც საქამათ თივებში ჯამაგირად ამ თანამდებობისათვის. ხშირად ეხედავთ, რომ ეს გადაწყვერის, როცა ისინი მასწავლებლებთან არიან, ახდენენ მასწავლებელში განხეთქილებას და უსიამოვნებას მასწავლებელთ და ზედამხედველთ შორის. უბნისობაც არ შეიძლება, რადგან ზოგიერთი ქვეშევრდომი, თავის ბუნების სისუსტისა გამო, ყოველთვის ცდილობს ასიამოვნოს თავის უფროსს, რომ ამით თავი შეიკაოს თავის ადგილზე, რადგან ზოგჯერ თავის თავის მიხედ არა აქვს.

ნურაინ ნუ ივიკრებს, რომ ჩვენ ბ. ფხაკაძესთან რაიმე ინტერესი გვქონდეს. ჩვენ მასთან არას დროს არა გვქონია და არც შემდეგში გვექნება რაიმე საქმე და დამოკიდებულება. მაგრამ სასურველი კია,

რომ ჩვენს მასწავლებელში აღარ ექნეს <sup>საბჭოთა</sup> ~~საბჭოთა~~ უსიამოვნო მოვლენათ, მატიობას, უთანხმოებას და უბედურ შეტაკებას, რომელთაც ეხედებით და მასწავლებელში ბბ. ასათიანის, იაკ. ფხაკაძის და ნ. ტატიშვილის ზედამხედველობის დროს. ყოველთვის ამ არა სასიამოვნო მოვლენათა მიზეზნი იყენენ სულ მძაბლნი პირნი და სულ უბრალო მიზეზები და მუდამ ხელს უშლიდენ ეს არა სანატრელი მოვლენანი მასწავლებლის საქმეთა წარმატებით მსვლელობას. თუ უწინდელი ზედამხედველები დაკვირვებულნი იყენენ ზემოთ აღნიშნულ პირებთან სათფი მამობის მიხედვით და ამიტომ ვერ ასცდენ და უსიამოვნებათ, დღეს იმედია, რომ ცხლანდელი ზედამხედველი, რომელიც თავისუფალია ყოველივე ამავე მისაგან, ეცდება ბოლო მოუროს ყოველივე იმას, რაც კი უწინ ახდენდა უსიამოვნებას მასწავლებელთ და ზედამხედველთ შორის ეს ძალიან სასარგებლო იქნება მასწავლებლისათვის და ამის აღსრულება არც ახე საძნელია.

შენ და ესთქვათ, რომ ჩვენ ამ მასწავლებლის საქმეს დიდ ყურადღებას ვაქცევთ 1867 წლიდან და ყოველთვის ვაფრთხილებდით, ვისიც რაივი იყო, რომ მოესპოთ მასწავლებელში ყოველივე ის, რაც უსიამოვნებას ჰპადავდა და მასთან ხელს უშლიდა მასწავლებლის წარმატებით წინ სვლას: მაგრამ ჩვენი ყვეთილი რჩევა და დარიგება ყოველთვის რჩება ხმად მლაღდებლსა უდაბნოსა შინზე; შეიძლება დღესაც ასეთივე შედეგი ექნეს ჩვენს რჩევას და დარაგებას, — ამ შემთხვევაში ჩვენ უნებღიეთ ხმა უნდა გავიკანონათ და ველოდეთ შედეგს. ყოველივე ის, რაც კი ჩვენ ოდესმე გვიწერია ამ მასწავლებელზე, გვიწერია ყვეთილის განზრახვით, ქვეშარიტების გრძობით და სიძარითლით — და ჩვენი ნათქვამი, ყოველთვის აღსრულებულია. ესევე წმინდა განზრახვა გვაძლულებს ეხლაც ამის წერას.

შემდეგ კრებას წაუკითხეს თხოვნა მასწავლებლის მასწავლებლის ბ. პ. ყვიარაძისა, რომელიც სთხოვდა კრებას 200 მ. მომატებას, თხოვნაში დასახელებული იყო ის საბუთები, რომელთა გამო ეს მასწავლებელი ითხოვდა ჯამაგირის მომატებას. კრებამ საუფქედლიანად განიხილა ამ მასწავლებლის თხოვნა და შესაძლებელად დაინახა მისი თხოვნის დაკმაყოფილება. მაგრამ, სამწუხაროდ, თავსმჯდომარემ, კრების ყურნალში არ მოიხ-



სენია არც ერთი ის მოსაზრება, რომელთა გამოკრებამ ხსენებულის სასწავლებელს მოუმატა 200 მ. ამიტომაც კრების დადგენილობა ამ საგნის შესახებ, როგორც აშშ-ობნენ, არ იქნა დამტკიცებული.

ამის შემდეგ კრებამ განიხილა თხოვნა სასწავლებელს ეკონომის ზღვი. ი. წერეთლისა, რომელიც ითხოვდა ჯამგერის მონატეზს. ამ კითხვამაც კი ბახსი გამოიწვია კრებაში. 1868 წლიდან წარსულს წლებში სასწავლებელში ეკონომად რყო გლგხი ეგ. მახვილიაძე. თუცა სამდღეობა არ ემდრელებოდა ამ კაცს და სურდა მისი დათხოვნა; მაგრამ სამდღეობებამ ვერ მოახერხა თავის განზრახვის სისრულეში მოყვანა. ეს კაცი სასწავლებლის ოთხი ზედამხედველის დროს მსახურობდა სასწავლებელში ეკონომად და ყველა ზედამხედველისთვის საყვარელი კაცი იყო. უკანასკნელს დროს ამ ეკონომმა თავის ძმა დააყენა სასწავლებელში მზარეულად და ამავე დროს შვილი მონათელია ზედამხედველს და ამით კიდევ უფრო მაგრად მოადგა ფეხი სასწავლებელში, ასე რომ სამდღეობებამ იმდენი დაჰკარგა ამ კაცის სასწავლებელში დათხოვნისა. მაგრამ არაფერი არ არის ქვეყანაზე უტკობლებში: გერმანიაში დათხოვნილ იქნა კანტელის თანამდებობიდან თეადი ბისმარკი, ბ. ტარცივი ვადაყენილ იქნა ოზურგეთის სასულიერო სასწავლებელში, ხოლო ახლამ ზედამხედველმა წინადადება მისცა სამდღეობების კრებას დათხოვნათ ეგ. მახვილიაძე ეკონომის თანამდებობიდან და მის მაგიერ დაენიშნათ უფრო მკობდენ კაცი. სამდღეობებამ დიდის სიხარულით მიიღო ზედამხედველის ასეთი წინადადება. ეკონომს დაუნიშნა სამასი მანეთი ჯამგირი წვლიდან, სახლი, შეშა, სანთელი და საქმილი ამ პირობით კი, რომ ამ თანამდებობაზე დაინიშნულ ყოფილიყო სემინარიელი. მაგრამ ეკონომის ადგილი მიეცა ეხლიანდელს ეკონომს მ. წერეთელს, რომელსაც სწავლა აქვს დამთავრებული ქუთაისის პროგენაზიაში, კრებამ ხსენებულს ეკონომს ჯამგირი არ მოუმატა. მ. წერეთელი დღეს მღვდლად არის ნაკურთხი, და ფონებთ, სასწავლებლის სამმართველოს მსურს დაინიშნოს იგი სასწავლებელში როგორც თანამდებობიდან. სანატრელია, რომ ეს ორი თანამდებობა მიეცეს ენმე სემინარიაში სწავლა დამთავრებულს, როგორც ეს მოღებულა სხვა სასწავლებლებში. სასწავლებლის მოძღვრის მოვალეობა ძალიან დიდი მოვალეობაა, და ამიტომ ეს თანამდებ-

ობა უნდა მიეცეს იმ პირს, რომელსაც შესწავლილი აქვს ლეთსმეტყველება.

შემდეგ კრებამ განიხილა სასწავლებლის მომავალი წლის ხარჯთაღრიცხვა (смета). კრებამ ეს ხარჯთაღრიცხვა დაამტკიცა; გარდა ზოგიერთი ხარჯებისა, რომელნიც შემცირებულ იქნენ კრებამ. ამასთანავე სამდღეობებამ განიხილა წინადადება სასწავლებლის ზედამხედველისა, რომელიც ითხოვდა სამდღეობებს მომეტებული ხარჯის გაწევას. სამდღეობებამ დაინახა, რომ ყოველი ხარჯის დაეკისრებოდა შემდეგ რჩებოდა კიდევ 500 მანეთამდე, გარდა ამისა სამდღეობებს აქვს ბანკში 3000 მანეთი, რომელიც ეკუთვნის სასწავლებელს. ამ მოსაზრებათა გამო, ზედამხედველის წინადადება არ მიიღო კრებამ. არ გვეხმარს, თუ რა საჭირო იყო ეს მომეტებული გადასახალი. სასწავლებლისათვის საჭირო ხარჯი ინიშნება სამდღეობების კრებისაგან და არაფერს შემხვედრში ეს ხარჯები არ უნდა იქნეს დაინიშნულ კრების გარეშე. კრებას არს დროს უარი არ უთქვამს და არც ეტყვის სასწავლებლის სამმართველობა, თუ კი იგი დაინახავს, რომ საჭიროა ხარჯის ზომიერება სასწავლებლის შესახებ. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ მომეტებული ხარჯის შეკრება მანეთობით და კაპეიობით ძალიან საწინააღმდეგოა, ეს ისე ადვილი არ არის, როგორც მღვდლებისადმი დაინიშნული ჯამგირებიდან ფულის დატოვება ხ. ნინაში. ზოგიერთი მღვდლებს და მღვდლებთან ეს ჯამგირები არ ეძლევათ და გარდა ამისა ბევრი მღვდელი სასწავლებელისათვის საჭირო ხარჯს თავის საკუთარი ჯიბისაგან იხდის, — ამიტომ საჭიროა სახეში ეტიკონით ხოლომე ღარიბი მღვდლების მდგომარეობა.

საღამოს 10 საათზე თავსმჯდომარემ დახურა კრება და დებუტატებს სთხოვა, რომ ისინი შეკრებილიყვნენ ზეორე დღის. მორე დღეს სასწავლებელში შეიკრება 22 დებუტატი, მაგრამ თავსმჯდომარე არ გამოცადებულა, მხოლოდ კრების უფრანალები გამოვლენა და შემოვიყვანა, რომ ავადმყოფობის მიზეზით მე არ შემოვიყვანა მოსკლო. საქმისმწარმოებელმა მ. ს. ცაგერევილიმა სასწავლებლის ენაში დებუტატებს წაუთქმა ზოგიერთი ქუჩალები, რადგან დებუტატებს არა ჰქონდათ ბინა, სადაც უნდა შეკრებილიყვნენ და სთხოვა დებუტატებს ამ ქუჩალებზე ხელის მოწერა. მაგრამ ბევრმა დებუტატმა



სამართლებლო წეს-წყობილებათა ისტორიიდან.

უარი განაცხადა ხელის მოწერაზე, ვინაიდან ქურ-  
ნალებში ბევრი უსწორ-მასწორობა შენიშნეს. ზო-  
გიერთებმა განაცხადეს, რომ ხელახლად აღერჩიათ  
ვინმე თავსმჯდომარედ და ხელახლად განეხილათ სა-  
ჭირო კითხვები, მაგრამ ეს არ მოხერხდა და ამიტო-  
მაც ქურნალები დარჩა დეპუტატების კანონიერი  
რიცხვისაგან ხელმოაუწერი.

ეს კრება იყო მე-XXX-თე ანგარიშით და  
იმედ გექონდა, რომ სამღვდლოების დეპუტატები  
უფრო დიდ გამოცდილებას და ცოდნას გამოიჩენდნენ  
საჭირო კითხვების განხილვის დროს, მაგრამ, სამწუ-  
ხაროდ, კრებას არავითარი გამჭირაზობა არ გამოუ-  
ჩინია ამ კრებაზე. აქვე უნდა შევიზოთ, რომ ამ  
კრების საქმის მწარმოებელმა მ. ს. ცაგარეიშვილმა  
ვერ შეიძლო, როგორც რიგია, კრების ყველა დად-  
გენილობის რიგთან შედგენა. მრავალ თავუქელ-  
ანი მოსაზრებანი არ იყვნენ მოხსენებული კრების  
ქურნალებში და ამიტომაც კრების ზოგიერთი დად-  
გენილობა არ იქნა დამტკიცებული, ვისკანაც ჯერ  
იყო.

კიდევ ორიოდე სიტყვა სამღვდლოების დეპუ-  
ტატების შესაქრებელი ბინის შესახებაც. თითქმის  
საექსპარხოსოს სამღვდლოების ყველა ევარქიულ  
კრებაზე დავსწრებუართ, მაგრამ არსად ისეთი უყუ-  
რადღებლობა არ შეგვიინშნაეს სამღვდლოების დე-  
პუტატების შესაქრებელ ბინების შესახებ, როგორა  
უყურადღებლობაც შეგვიწნეთ ჩვენ წელს აქ. სხვაგან  
დეპუტატებს აძლევენ კრებისათვის შესაფერად მარ-  
თულს და ვრცელს ოთახს. აქ კი კრება გაიხსნა ერთ  
პატარა საკლასო ოთახში, სადაც სკამებს მაგიერ  
დაწყობილი იყო მოსწავლეთა დასაჯდომი პატარა  
პარტები, რომლებზედაც დიდ კაცს არსებობით არ  
შეუძლია სხდომა. აგრეთვე კრებას არა ჰქონდა სა-  
ჭირო სავანები, რომელთა შოენისათვის მუდამ კაცის  
გაგზაენ-გამოგზაენა იყო საჭირო. მაგრამ იმედ გექვს,  
რომ შემდეგში ყოველივე ეს არ განყოარდება და,  
როგორც თავსმჯდომარე კრებას, იქე სხვაეპაც  
უფრო ყურადღებით და პატერის ცემით მოეპურობიან  
დეპუტატებს.

ერთი დეპუტატობაანი.



გვალესის მნიშვნელობა. საეკლესიო მამულები და ყმები.  
მამულების შეწირვა. თანამდებობის შემკვიდრება. საეკლესიო  
კრებანი. საერო კრებანი და მათი შედარება კრებასთან რე-  
სეში და ვერობაში. მუყენი-ბურნი. მაქმადინაიზგან ჩვენი  
გვალესის დამოკიდებულება. გვალესის გავლენა.

(დასასრული \*)

მეფენი არამც თუ სწორადღენ მამულეს მონასტ-  
რებს, არამედ თითონაც იკვეცებოღენ ბერად მეფის  
ჩამომავლინი, წარჩინებულინი თავადნი და ახნაურნი  
ხშირად სტოვდნენ სოფლის ამაოების და ცმედნენ  
სულის საცხონებლად ბინას უღანბოში და მონას-  
ტურში. ამ ერთობამ ჩამომავლობისამ საერო და  
სასულიერო არისტოკრატისა დაიცვა საქართველო  
წარსულში ბევრი ვაგებისგან და შემდეგ უთანხმოე-  
ბამ მათ შორის ბოლო მოსულო საქართველოს თა-  
ვისუფლებას. ზოგიერთა ცნობების შესახებ მეფეთა  
მოზონ თანაჭიროა მოიყვანოთ, გუარამ ძამულოი «იქნა  
მინაზონ». მეფე ალექსანდრემ სახე მონაზნობისა შუ-  
ილმოსა ღლოღენა სახელად თანასე. კოსტანტინეს მეფე-  
ს დავითმა განიხლა სოფლისა სამუხთლი, დასუტეა  
მეფობა და იქნა მინაზონი<sup>1)</sup>. ამისა ძმამ მეფე  
გიორგიმაც დასუტეა მეფობა და თითი შევიდა ზო-  
ნასტურსა და იქნა მონაზონ. მეფე ალექსანდრეს  
დაა შინაბინის დროს ჩუო ენკრატორად და სტოვ-  
რება და ალავრეს. მეფე თეიმურაზ I გარდაიცვალა  
ასტრბადს «შემონაზნებული და სქემოსანი». <sup>2)</sup> საქ-  
მარისთა კიდევ დავასახლოთ ანტონ I კათალიკოზი,  
ქართლის მეფისა იასესი, ანტონ მეორე კათოლი-  
კოსი, ძე ირაკლი მეორესი, მიტრაპოლიტი ვარლამ  
ერისთვი, კათალიკოზი იოანე დიასამიძე, იოსებ  
თარხნიშვილი, დამეტე ორბელიშვილი და სხვ. <sup>3)</sup>  
უმაღლესი თანამდებობა საეკლესიო იერარქიაში  
ეკრათ მთავართა და თავდაჯ ჩამომავალით. ესენი  
ასრულდნენ, გარდა საეკლესიო მოვალეობისა,  
აგრეთვე საერო საქმეებსა. ჭყინდიელი მწიგნობართ-  
უხუტესად ინიშნებოდა. <sup>4)</sup> მეფეყული ცხოვრდათ  
მათ საზრდელად. (ეს მოვალეობა წინათ გადადიოდა  
სასპეტზედ). <sup>5)</sup> ეიზანტიაში ხშირი იყო ჩვეულება  
მეფეთა ბერად აღკვეცისა, განდენილი მეფე ან ძა-

\* 1) იხ. «მეფეისა»-ს № 23.

2) «ქარ. ცხ.» II, 22, 3. 126.

3) გუგურობი გვ. 3, 724 და სხვ.

4) «ქარ. ცხ.» I, 293, 304.

5) «ქარ. ცხ.» I, 110, 112, 146.

6) «ქარ. ცხ.» I გვ. 192, 474. II, 20.





ლით, ან თავის ნებით ეყარებოდა მონასტრის. დედოფლები, თავდანი ულნი თავიანთ გვირგვინოსან ქმართაგან, იგზავნებოდნენ მონასტერში. სენაკს იმ დროს საპყრობილეს ადგილი ეკირა. <sup>1)</sup> (Безопрязовъ. Михаилъ Песелъ).

რაკი მონასტრების უფროსნი და გამგებელნი იყვნენ წაჩინებულნი პირნი, ამიტომ მათ ეძლეოდათ შეღავათი და თავისუფლება სხვა-დასხვა ხარჯთაგან სახელმწიფოს სასარგებლოდ. ან თავიანთ სულის საოხად, ან მონასტრის და ეკლესიის სამსახურის დასაჯილდოებლად შეღავათი ეძლეოდათ მეფეთა და მოთვართვან სამღვდლო იერარქებს. საეკლესიო გუჯრები ამას მტკიცედ მოწმობენ. <sup>2)</sup> მეღავათს აძლევდნენ ეკლესიას თეთი მამპლიანნიც. ნადირშაჰი ამტკიცებს კათოლიკოზად ნიკოლოზს თანხმად ამოწვევის ვალის თეიმურაზის, სამღვდლოთი და თავად-აზნაურთა და უნიშნავს ჯამაგის 1000 მ., რათა არ მოაკლოს შაჰის სულისთვის ლოცვა. შაჰი უბძანებს თავად-აზნაურობას იცნან კათოლიკოზად ნიკოლოზი, ბეგლარბეგს და ქართელებს—მის პატივისცემას და ღირსებულად მიღებას. (1742 წ.). ამავე გვარად თანხმად ხელხას ამოწვევის იმავე ჯამაგირით ამტკიცებს კათოლიკოზად ანტონს, დისწულის ვალის თეიმურაზისას. შემდგომში უწყლობა ანტონს კათოლიკოზს შესაშოსელი და ტანთსაცმელი. განსაკუთრებითი ფირიანით შაჰ-ნადირი უნიშნავს საქართველოს ეკლესიის კათოლიკოზს ყველა იმ სოფლებს, რომელნიც მას ეკუთვნოდნენ, ნებას აძლევს კათოლიკოზის სურვილით შევირიბოს და მოხმარდეს ეკლესიას მამულების შემოსავალი. ამასთანავე უბძანებს ВАШО КНЯЗЬЯМЪ, СТАРШИНАМЪ И ВСЕМЪ ЖИТЕЛЯМЪ იქონიან პატივისცემა კათოლიკოზისა, ეკლესიის განგებელისა, როგორც ამის შესახებ ყოფილა ბძანება ქართველთა მახსადამე ეკლესია—მონასტრები თავიანთი მამულებით და ზედ დასახლებულნი ქვეშევრდომებით წარმოადგენდა სახელმწიფოს სახელმწიფოში, რომელსაც თავისი კანონები და წყობილება ჰქონდა. ასე იყო რუსეთშიაც, სადაც ეკლესიას ჰქედა თავის

მეფეთაგან. <sup>1)</sup> აქედან სჩანს, რომ ჩვენი ეკლესია დამოკიდებულება სპარსეთთან ისეთი ხასიათისა იყო, რომ თავისუფლება არ ესმოდა და საქართველოს შინაურ საქმეთა წარმართვაში. შაჰი ამტკიცებდა მას, რაც მიღებული იყო ჩვეულებით და რასაც ხალხი და თავად-აზნაურობა სამღვდლოთურთ დაადგინდა. <sup>2)</sup>

სულთანი აგრეთვე მტკიცედ იცავდა ჩვენი ეკლესიის დამოუკიდებლობას. სულთან ახმედ 1726 წ. უბძანებს ისაკ ფაშას, ტფილისის მმართველს, რომ, რადგან საქართველოს პატრიარხის დომენტის თხოვნა შესახებ გაქცეულ ყმათა დამყარებისა საეკლესიო მამულზედ არ იქნან აღსრულებული აქამ. დღის, დაუკონფლიგი მიიღონ საშუალება რიგისა დაწესებისა და ყმათა დამრწმუნებისა კათოლიკოზთა სურვილისამებრ. ამავე დომენტის რჯევ ფაშა ამტკიცებს კათოლიკოზად და უბძანებს ქართველებს მის მორჩილებას. ერთი ფირიანი 1707 წ. <sup>3)</sup> კავალ ასურათებს, რა დამოკიდებულება იყო ეკლესიის და საერო გამგებელთა შორის. ჩვენი კანონმდებლობის შეხედულებით კათოლიკოზი იგივე ხელმწიფეა სულისა, როგორც მეფე—ხორცისა <sup>4)</sup> და ეკუთვნის სრული განგებლობა ეკლესიისა. ამასვე მოწმობს შემო მოხსენებული ფირიანი: ჩვენი ბრძანება არის, სადაც საქათოლიკოზო სოფლები და საყმო არიან სულ ერთობლივ... ისევ მისთვის დაგეინებებია და წყალობა გექნია; აწ რაც საქათოლიკოზო სოფლებს საქმე იყოს უიშისოდ ნურა იქნას და მისხელითა და მარიფათით გარიგდეს. მახსადამე კათოლიკოზს ეკუთვნის არამც თუ საეკლესიო საქმეების გარჩევა, არამედ აგრეთვე საეკლესიო ყმების და სოფლების ბჭობა. ესრედ წოდებული მცხეთის შეილები <sup>5)</sup> გეგანებენ რუსეთის ისტორიაში ცნობილთ церковные или богадельные люди!—ესენი ეკლესიას ეკუთვნოდნენ.

ეკლესია—მონასტრებს ეკუთვნოდნენ თავად-აზნაურნი, გლეხნი ყმად შესრულნი და ნასყიდნი.

<sup>1)</sup> «გუჯრები» церк. грам. Пурцеладзе. Древности Тифлиса Иоселиани, voyage archeologique და Introduction brosset. Акты, стр. 9 и 59.

<sup>2)</sup> Скабалоничъ Византийская церковь. Лебедевъ. Черты изъ Виз. жизни.

<sup>1)</sup> Акты Кавказ. археогр. ком. т. I, стр. 73—6.

<sup>2)</sup> Акты Кавказ. археогр. ком. I, 71—3. თავისუფლად მიცემული საჩუქარი შეიქცეობა. Акты I, 85. შედარე donation.

<sup>3)</sup> განტანვის კანონები § 25.

<sup>4)</sup> Акты I, 28.

<sup>5)</sup> brosset. Introduction CXXXVIII და სხვ.

ბიარე, вольные люди, горожане. ქრისტიანობასთანვე ერკვლებოდა აზრი ეკკლესიის თავისუფლებიასა და მის იურიდიულად გაწყობისა. კათოლიკოზი აღვიარებულ იქნა უფროსად სამღვდელთაებისა და იმ პირთა, რომელნიც საეკკლესიო მამულზედ სცხოვრობდნენ. 1) იგი იყო გამგებელი ეკკლესიის შემოსავალ-გასავლისა, მამულის განაწილებისა, მსაჯულო საეკკლესიო და საერო საქმეებისა თავის მოყმეთა შორის. მას და არქიელს საერთოდ ეკუთვნოდა ნიშანი ანუ სამკვიდრო, როგორც ახლა ჩვენ ვეძახით. წილენის «გუჯარბი» საქმარისად მოწმობს, რომდენად ცდილობდნენ სწორედ განაწილებისათ და კანონიერად გადწყვიტათ, რა შეადგენდა ნიშანს შეძლებისა და მდგომარეობის მიხედვით მთელი ნიშანი: (ცხენი შეკახული, გარდასახურაიე ორა, სუფრის იარაღი—ესენი წილენელს მიართონ. ქალი თუ მოკედეს საწირაიე ნიშანი ტუაიანი ტალომა, კაბა, სარტყელი, ღილი, ბეჭედი, თავსახური, ორი გარდასახურაიე. 2)

თუმცა ეკკლესია წააგადა სახელმწიფოს თავის მცხოვრებელთა წევრებით, მაგრამ განსხვავება მათში კი საგრძნობლად მოსჩანდა. ეკკლესია ქრისტეს მოძღვრებით აღჭურვილი ნაკლებად სასტიკი მებატონე იყო. ეკკლესიის ყმობა ერთნაირად გლესს, ვიდრე ბატონისა ანუ მფისა. რაკი არ შეიძლებოდა ყველა ყმებს და უპატრონო—უბინაო პირთა ეკკლესიის პირდაპირ მფარველობით ესარგებლათ, ამიტომ სამღვდელთა ცდილობდა შეემტოებინა ის მძიმე უღელი, რომელიც ედო ყმას ბატონის გასაძლიერად. ეკკლესიამ კეთილი გავლენა იქონა მებატონეებზედ ყმათა ბედის გაუმჯობესობაში, ამოჰკვიტა ტყვეთა გაჭრობა, ღეთისთვის სასიამოვნო საქმედ აღვიარა ყმათა 3) განთავისუფლება და ამგვარმა მცადნიერობამ არ ჩიარა უნაყოფოდ როგორც ევროპაში, რუსეთში, აგრეთვე ჩვენშია. უნეჩეულებმა შეიცვალა ქრისტიანობის გავლენით მთელს ხალხში. ამით აიხსნება ზოროასტრის (აკესტრის) სწავლის შესუსტება საქართველოში და თანახმად საეკკლესიო კანონებისა ქორწინების შემოღება ნათესაობისა არ

მქონე პირთა შორის წინააღმდეგ ავესტისა, რომელიც თხოულობდა ნათესაებისა დაკავშირებას კოლქრობით. 1) ეკკლესიამ იცნა კოლოდ უკანონო მუღლებმა, დაუნიშნა ჩაქოლეა იმ პირთ, რომელნიც სისხლით ან მირანით ნათესაენი იყენენ და სცხოვრობდნენ უკანონო კავშირით. 2) ეკკლესიამ დამართა სასწავლებლები და მოჰვიანა მამულს შუქი განათლებისა.

აქ დაბეჭდილი «გუჯარბი» გადმოწერილია საეკკლესიო მუზეუმის» გუჯარბდან. ზოგიერთი კი გადმოწუნე ქ. გორში კერძო პირების საკუთარ გუჯარბიდან. სხვა-დასხვა მიზეზების გამო ვერ მოხერხდა გადათარაილება დანარჩენი გუჯარბისაც «საეკკლესიო მუზეუმში» და ამიტომ იძულებული ვიყუეთ დაგვებეჭდა ეს მაინც, რის მოსწრებაც მოვახერხებთ. არ მგონია, რომ დამენდუროს ეინმე, რატომ საერთოდ «საეკკლესიო მუზეუმისა» გუჯარბის გადათარაილებას არ უკლი. ჩემის აზრით, ერთმანეთში ამ «გუჯარბს» დამოკიდებულება და კავშირი არ აქვთ და უნდა ვისურვოთ მხოლოდ, რომ დანარჩენი «გუჯარბიც» ჩქარა იქმნას აღბეჭდილნი. გუჯარბი და სიგელები ძვირფასი ისტორიული განძია და მათი უყურადღებოდ დატოვება შეუნდობელი უკლია.

«გუჯარბი» ჯერ «მწყემსში» იბეჭდებოდა და ეხლა ცალკე წიგნად გამოიცა. ვალად ვრაც გულისათი მადლობა გამოვუცხადო «მწყემსი»-ს რელიქტორს დეკ. დავით დამაზიძეს, რომელმაც იტვირთა «გუჯარბის» გამოცემა.

ს. ხახანაშვილი.

1) Ковалевский. Законъ и обычай на Кавказѣ I, 153.  
2) законы Вакханга, стр. 141. Актъ 1549 г. за преступную связь съ лицами, находящимися въ естественномъ и духовномъ родствѣ, виновные имѣють быть побиты камнями.

1) «გუჯარბი» გვ. 41.  
2) broset. lutrad. CXXXV—CXLIX.  
3) Законы ватиканскыя Шод. а гротуоу вантангис канони § 24.



მალღ უოვლად უსამდელოოესი იოანნიკე,  
მიტრანპოლიტი კიევისა ღ კალიკისა.

რიცხოვანი და უმაჯრესი მოჯვაწე ობანი ჩვენს  
მოვალეობად ვრაცხთ ამ ადწერილობას; ჩვენის  
მხრით, დაუმატოთ ის, რაც ამ გაწეთებს უწუ-  
რადჯუბოჲ დაუტოვებიათ. ამ გაწეთებში სრუ-  
ლებით მოხსენებულა არ არ ის საყურადდებო  
მოჯვაწეობანი მიტრანპოლიტი ის იოანნიკესი,  
რომელთა მეოხებით მათმა მეუფებამ დიდი სარ-  
გებლობა მოუტანა საქართველოს სამეჯველო-  
ებს და ხალხს, ჩვენში ექსარხოვად მყოფობის

კიევის მიტრანპოლიტის ღირს სახსოვარის  
პლატონის გარდაცვალების შემდეგ, რუსეთის  
უმაღლეს იერარქიაში ფრიად საყურადდებო  
ცვლილება მოხდა: დაობლებულეს კიევის სამი-  
ტრანპოლიტო კათედრაზე, უსაღლესი ნებოთ,



მიტრანპოლიტი იოანნიკე.

გადაყვანილ იქმნა მოსკოვის მიტრანპოლიტი  
იოანნიკე, ხოლო მოსკოვის სამიტრანპოლიტო  
კათედრაზე დაინიშნა ვარშავის მთავარ-ეპისკო-  
პოსი ღლიანტი.

დროს. თუმცა მათი მეუფება ცოტას ხანს დაწრა  
საქართველოში ექსარხოვად. მაგრამ ამ მოკლე  
დროშიაც მათმა მეუფებამ ბევრი რამ კეთილი  
საქმის გაკეთება მოახწრო საქართველოში. მათმა  
მეუფებამ დაარსა თბილისში ღეფათა ეპარქია.  
ღური სასულიერო სასწავლებელი, რომელსაც  
მესწირა თავის საგურთრებისაგან 28000 მანეთზე  
მეტა; ამავე სასწავლებელში დააფუძნა 16 სტი-  
პენდიან თავის ხარჯით. ყველამ ვიცით, თუ რა  
მეჯვამართებაში იყო თბილისში წმინდა სანთ-

ამ შესანიშნავ ცვლილებათ, რასაკვირვე-  
ლია, ყურადღება მიიქცია მწერლობამ, უმაჯ-  
რესად, სასულიერომ. რუსეთის ყველა შესანიშ-  
ნავ სასულიერო გაწეთებში ვრცლად ადწერილი  
და ჩამოთვლილია საქართველოს ექსარხოვად  
ნამყოფის მიტრანპოლიტის იოანნიკეს მრავალ



საქართველო

ლის წარმოების საქმე, სანამ ექსარხოსად დაინიშნებოდა მათი მეუფება. მაღალ უოვლად უსამფველოესმა იოანნიკემ, საქართველოში მობრძანებისათვისავე, დიდიკურადდება მიაქცია ამ საქმეს; წმიდა სანთლის წარმოების საქმე მან დაუყენა სულ სხვა გზაზე, და ეს იყო მიზეზი, რომ წმიდა სანთლის შემოსავალი შესაჩნვევად იმატა. თბილისში მათმა მეუფებამ დაარსა კვირა—უქმ დღეებში ფათის მახურების გარეშე საუბრები სასულიერო-ზნეობითი მინაარსისა ხალხში ზნეობის ასამადლებლად და სასულიერო განათლების გასავრცელებლად.

ვებჭდავთ აქვე მაღალ უოვლად უსამფველოესის იოანნიკეს ბიოგრაფიულ მიმოხილვას, რომელიც დაბეჭდილია «რუსულს ვალომნიჟში».

მაღალ უოვლად უსამფველოესი მიტრაპოლიტი იოანნიკე.—ერისკაცობაში ივანე რუდნევი,—დაიბადა ტულის გუბერნიაში, კიევის სასულიერო აკადემია დასრულა პირველ 24 კურსზედ პირველ მოწაფედ ფათის მეტრეველების მაღისტრის ხარისხით; აკადემიის კურსის დამთავრების შემდეგ 1819 წელში აკადემიაშივე დასტავეს საღმრთო წერილის ბაკალიანთვე (პროფესორათ); 1836 წ. 9 ივლისს დაინიშნა აკადემიის ინსპექტორად ექსტრაორდინარნი პროფესორის სახელწოდებით და არქიმანდრიტათ ხელდასხმით; 1856 წ. გადაიყვანეს კიევის სასულიერო სემინარიის რექტორად და კიევის ნიკოლოზის მონასტრის წინამძღვრად; მისი რექტორობის დროს და მის წარდგინებით დაარსდა ამ სემინარიაში სასულიერო ექრნალი: «Руководство для сельских пастырей». 1838 წ. 7 დეკემბ. დაინიშნულ იქმნა კიევის სასულიერო აკადემიის რექტორად და კიევის ძმობის მონასტრის წინამძღვრად; 1860 წ. 6 ოქტ. გადაყვანილ იქმნა პეტერბურგის სასულიერო აკადემიის რექტორად და შემდგომ 1861 წ. ხელდასხმულ იქმნა ვიბორგის ეპისკოპოსად, პეტერბურგის ეპარქიის ვიკარიათ (ქორ-ეპისკოპოსად) და დატევილ აკადემიის რექტორადვე; 1864 წ. დაინიშნულ იქმნა სარატოვის დამოუკიდებელს ეპარქიაში; 1873 წ. გადაყვანილ იქმნა ნიჟეგოროდის ეპისკოპოსის კათედრაზე; 1877 წ. მიიღო მთავარ-ეპისკოპ.

პოსობა და დაინიშნა საქართველოს ექსარხოსად და უქმ. სინოდის წევრად; 1882 წ. გადაყვანილ იქმნა მოსკოვის კათედრაზედ მოსკოვის და კალოშინის მიტრაპოლიტის ხარისხით, ხოლო 17 ნოემბერს ამა 1891 წ. დაინიშნა კიევისა და გალიციის მიტრაპოლიტად. ამ სახით მაღალ უოვლად უსამფველოესი მიტრაპოლიტი იოანნიკე სასულიერო სამსწავლებლო სამსახურში იმყოფებოდა 15 წელს—10 წელს კიევში და 1 წ. პეტერბურგში; მფველო მთავრად იმყოფებოდა 27 წ., ხოლო სულ მეცნიერებას და ეკლესიის ემსახურება 42 წელიწადს.

სადაც კი ბრძანდებოდა მფველო-მთავრად, უოვლად უსამფველოესმა იოანნიკემ უოვლად გამოიჩინა მწრუნველობა ეკლესიის კეთილდღეობაზედ და მისდამი რწმენებულის სამფველოების მფგომარეობის გაუმჯობესობაზედ.

სარატოვში მათმა მეუფებამ დაარსა მწვალებლობის საწინააღმდეგოდ «ძმობა წმიდა ჯვარის სახელობაზე», რომელიც შემფველო გადაკეთებულ იქმნა «სარატოვის სასულიერო განმანათლებლებ კავშირად», რომელიც შესანიშნავი თავისი ნაყოფიერი მოფველოებით. ნიჟინოვკოროდში მათი მეუფებისაგან დაარსებულ იქმნა აკრეთვე «ძმობა წმ. ჯვარის სახელობაზე»; მოსკოვში მათი მეუფების მოთავეობით და ჩვენებით დაარსებულ იქმნა საუბრები ძველის სჯულის აღმსარებლებთან (Старобрядцами) მოსკოვის სასულიერო სემინარიაში, კერძო სავაჭრო სახლში და მფარველობას მიასტერებში, ნაცვლად უქსო და უარგებლო სიტუეების წარმოთქმისა ისავეების სამრეკლოის მოფდანზე, რომელი სიტუეებიც ხშირად თავებობდა ღანძფვა გინებით და ჩხუბით მართლმადიდებელთა და ძველი სჯულის აღმსარებელთა შორის. მისი მეუფების აზრით ამავე წელს, ზაფხულში, მოსკოვში მოწოდებულ იქმნა მისიანერთა კრება, რომელიზედაც დადგინილ იქმნა ფრიად შესანიშნავი დამფველობანი მწვალებელთა შესახებ რუსეთში და გამოწახულ იქმნა ზომანი, რათა უფრო უკეთესად გაწიათ წინააღმდეგობა მწვალებლობისათვის, განსამრავლებლად და შეუღლებათ ეკლესიების



გნორად განწყობისათვის, განსაკრგებლად სასულიერო სასწავლებელთა მდგომარეობისა, შესაწევნელად სამფუძვლოებისათვის, რათა მათ შეძლებოდათ თავიანთი შეიღების აღზრდა, მხოლოდ უცვლად უსამფუძვლოების ირანნიკმ დაფუძნა ეპარქიულური წმინდან სანთლის ქარხანა სარატოვში და გააუქმებეს ასეთივე ქარხნები ნიჟნი ნოვგოროდში და მოსკოვში და ისეთ გზაზე დააყენა ეს ქარხნები, რომ მათი შემოსავლისაგან დაფუძნა საზოგადო საცხოვრებელი ბინები სემინარიებში და ოთხკლასიან სასწავლებლებში თავის ხარჯზე მცხოვრებ მოწაფეთათვის და ამავე საშუალებისაგან რამოდენიმე ას მოწაფეს ეძლეოდა უფასო ხარჯი. მათი მეუფების მეოხებით აღშენებულ იქმნა ობოლთათვის თავშესაფარი ბინები სარატოვის და ნიჟნი-ნოვგოროდის ეპარქიებში, ხოლო მოსკოვში დაარსა დედათა მეორე სასულიერო სასწავლებელი წმ. მარინეს სახელობაზე.

კიევის კათედრაზე გადაყვანის შემდეგ მადლ უცვლად უსამფუძვლოების მიტრპოლიტი იოანნიკე ითვლება კიევის მიტრპოლიტების სიაში მე-75 წმ. მინხადის შემდეგ, რადგან კიევის სამიტრპოლიტო ადგილი ითვლება ერთ უძველეს და შესანიშნავ ადგილად, რომელიც დაარსებულა მეთე საუკუნეში, წმ. დიდი მთავრის ვლადიმირის, რუსეთის განმანათლებელის დროს, ამიტომ კიევის მიტრპოლიტს პირველი ადგილი ეკუთვნის უწმ. სინოდში ვეტერბურგის მიტრპოლიტის შემდეგ. მეფეთა და პატრიარქთა სიკვლეობის ძალით, რომელიც მიცემულნი არიან კიევის სამიტრპოლიტო ადგილის მოსკოვის პატრიარქის გამგეობა გადასვლის შემდეგ მეფე დემეტრე საუკუნის დამდეგს, კიევის მიტრპოლიტებს დარჩათ უფლების აქვანდეთ მიტრაზე ჯვარი, ორი პანაგია დვთის-მსახურების დროს და წინ უნდა უძღოდენ ჯვრით გზაზე ძველი

ჩვეულებისამებრ. უოველივე ეს უპირობეობა ირჩება მადლ უცვლად უსამფუძვლოების ირანნიკსაც.

24 ნოემბერს, მადლ უცვლად უსამფუძვლოების იოანნიკე გამოეცოვა მოსკოვის სამწყლის დიდს მიძინების ტაძარში. წირვის და სანადვლოცვი პარატისის გათავების შემდეგ, რომელიც შესასულა თვით მათმა მეუფებამ არქიმანდრიტის არსენის, უმფროსი მფუფლის ნ. ასერგიევსკის და საკრებულთა ტაძრის სამფუძვლოებითურთ, მადლ უცვლად უსამფუძვლოების იოანე, მაგრამ გრძობით სავსე სიტუვა, უთხრა დვთის-მსახურებაზე დამწრე პირთ.

უმფროსმა მფუფლმა ნ. ასერგიევსკიმ მტრპოლიტს მირთვა მიძინების ტაძრის ძმათა წახვრით, ვერცხდის ოქროში დაფერილი, ხატი უფლისა.

10 დეკემბერს მწუქმთ-მთავარი მოსკოვიდან გაემგზავრა კიევი.

ერთი შესანიშნავი პირის ასრი ქართველ მღვდლებზედ, რომელიც მისხურებენ კავკასიის სამხედრო ჯარში.

მითხვლებმა უკვე უწყიან, რომ წელს კავკასიის სამხედრო ჯარები დათვარიელა დიდად განათლებულმა და პატრეცემულმა სამხედრო სამღვდლოების მთავარ-მოძღვარმა ა. ასერგიევსკიმ. როდესაც იგი აღბრუნდა კავკასიიდან პეტერბურღში, მონაზონა მფური კრება სამხედრო სამღვდლოთა, რომელთაც გარდასცა თავისი შთაბეჭდილება კავკასიაში სხენებული შოგზაურობიდან. სხეთა შორის, თავის გრძელ საუბარში მან ქართველ სამხედრო მღვდლებზე ბრძანა შემდეგი: „კავკასიის სამხედრო სამღვდლოების განცალკევებაზედ და განშორებაზედ

საქართველო

დიდი გავლენა ჰქონდა ქართველ სამხედრო მღვდელს, რომელიც კარგა ბლომად არიან და რომელთაც თავისებური შეხედულება და წესები აქვთ... ისინი თითქო არც კი არიან ერთის სამწყსოსაგან, და აქვთ თავისი ზნეობრივი სახე... ზოგმა ამ მამათაგან საკმაოდ არ იცის რუსული ენა... წარზოდ გინეთ ქართველი მღვდელი—აბა რა უნდა გააკეთოს მან რუსის ჯარის კაცისათვის თავის ქადაგებითა და საუბრებით? ჯარებში, რომლებაც რუსის ჯარის კაცთაგან შესდგებიან, ისინი (ქართველი მღვდელი) არ არიან თავის ადვილზედ. აი ამჯერამ ეს წინაპართაგან მიღებული სამეცნიერებელი არ შეიძლება გაუსწორებლად დარჩეს“.


ამ სიტყვების შემდეგ ცხადია, რათ უნდა გავხდარიყვნ ქართველი სამხედრო მღვდელი მიზნად კაცისის სამხედრო სამღვდლოების განცალკევებას და განშორებისა მთელი დანარჩენი რუსეთის სამხედრო სამღვდლოებისაგან. მაგრამ ნუ თუ ქართველ სამხედრო მღვდლებს მართლა აქვთ რაღაც თავისებური შეხედულება და წესები; რაღაც თავისებური განწყობილება, რაღაც თავისებური ზნეობრივი სახე, ასე რომ ისინი თათქმას არც კი არიან რუსებთან ერთისა და იგივე სამწყსოსაგან? ნუ თუ ეს ასეა? ქართველ მღვდლებს სასულიერო განათლება რომ რუსულ სასწავლებლებში აქვთ მიღებული და არა ქართულში, რომლებაც არც კი არსებობენ; იმათ შეუთვისებიათ ყველა გონებრივი და ზნეობრივი შეხედულებანი, მიუღიათ სრული თვისი ზნეობრივი სახე რომ რუსის უფროსების, მასწავლებლების და აღმზრდელების ხელშეწყობით და რუსულს ენაზე! როგორ მახდა, რომ ასეთს პირობებში და გარემოებაში აღზრდოდა ქართველი სამხედრო მღვდლები სულ სხვა სტოლსა და მიმართულებისა გამოსულან? ყველა ქართველები და მამასადამე ქართველი სამხედრო მღვდლები რომ ერთისა და იგივე სარწმუნოებას არიან რუსებთან, აღიარებენ ერთსა და იმავე მართლ-მადიდებლობას, ნათელ-ღებულან ერთისა და იგივე წიწვდა ემზახისაგან,—რაც ჩვენ საქებრად და სასიკეთოდ მიგვიჩნია, —აბა საიღამ გამოდიხ, რომ ჩვენ არა ვართ რუსებთან ერთისა და იმავე სამწყსოსაგან? რა გულსაკლავია ქართველისათვის ესეთი საყვედური, როდესაც მას აკენიდამე შეწოვებული და შეთვისებული აქვს ის აზრი, რომ იგი მთლად შე-

ერთებული და შეკავშირებულია რუსებთან. როგორც სარწმუნოებით, ისე ყოველი აზრით, შეხედულობით და სურვილით!

თუ ასეა, მაშ რაწიხად შეიძლება, რომ ქართველ სამხედრო მღვდელს რაღაც თავისებური, რუსისგან განსხვავებული, ზნეობრივი სახე ჰქონდეს? პირიქით,—ჩვენის აზრით, ყოველს ქრისტიანს, რომელიც კი განათლებულია ქრისტეს სახარების სწავლით და ცხოვრებაშიაც მის მცნებათა აღსრულებას ადგას,—ზნეობრივი სახე ერთი და იგივე უნდა ჰქონდეს,—ვიც უნდა იყოს იგი, რუსი თუ ქართველი, არაბი თუ იაპონელი, ჩინელი თუ ამისინელი ანუ წარმომადგენელი სხვა რომელიმე ერისა...

ამაწიხად,—თუმცა ძლიერ პატრიისციმ გვაქვს დიდათ განათლებულის მოძღვართ უფროსის ა. ა. ყელობოვისის ყოველის აზრისა, მაგრამ ქართველ სამხედრო მღვდლებში ჩვენ ვერ ვხვდებით ისეთ რაღაც თავისებურებას, რომელიც რუსის ჯარისკაცისათვის მაგნიფებს პირობას შეადგენდეს მის ზნეობრივ-სარწმუნოებრივ განათლების საქმეში.

არ გვიჭერა აგრეთვე, რომ ზედმეცნიერი უკონდაზრობა რუსული ენის და სლავიანური ფრაზებისა «ფრად ხელს უშლავს» ქართველ სამხედრო მღვდლებს თაქანთი მოვალეობის წარმატებით აღსრულებაში. ვინ არ იცის, რომ ზნეობით აღზრდა ყოველი კაცის და მამასადამე რუსის ჯარის კაცსაც უნდა ხდებოდეს და სრულდებოდეს არა სიტყვების სწავლა-სწავლით, წმიდა მკეთილ გამოთქმით და დეკლამაციით, არამედ მუთუვალე სარწმუნოების წარმოქმნით აზრების, გონების და წმინდა ქრისტიანული ცხოვრების ცხოველი მაკალითების საშუალებით; მამასადამე ქართველ სამხედრო მღვდლებს ცოტა რომ კიდევ ეშლებოდეს აქა-იქა წმინდა რუსულ კალაზედ და რუსული ხმათ გამოთქმა რუსული სიტყვების,—ნეტა ეს რას დაუშოს მას, რომ რუსის ჯარის კაცს აუხსნას და შთაავროს ქრისტეს სარწმუნოება და ზნეობა, თუ რომ თვითონ ეს ქართველი მღვდელი გამსკვალულია მართლ-მადიდებელი სარწმუნოებით და წმინდა ზნეობით და ამისთანავე უბიწო ცხოვრების კაცია!—







### ქ უ რ ნ ა ლ ი

კულაშის საბლადოჩინო ოჯახის სამღვდლოების სხდომას, დაესწრნენ: ბლად. მღვდელი ვრ. კანდელაკი, და სამღვდლო და საეკლესიო მოსამსახურენი საბლადოჩინოსის

### მ ი ა ს მ ა ნ ე ს :

წინადადება მ. ბლადოჩინის ვრ. კანდელაკისა შედგენი შინაარსისა: ქუთაისის სასულიერო სასწავლებლის სამმართველომ თავისი მოწერილობით 1 იელისდამ 1891 წ. № 714 მიხატა, რომ ამ სასწავლებელთან გაჩნდა მოძრა წმ. დავით აღმაშენებლის სახელობაზედ, გამომოხუნა რა ამისთანავე ჩამოღწევი ცალი ძმობის წესდებულებას, და მთხოვა ჩე მომწოდებნა მწვერვალ ჩემდამო რწმუნებულის საბლადოჩინოსის ეკლესიებს მოსამსახურენი და აგრეთვე საერო წოდების პირნიც, როგორც სხანს წაერთხულის ჩემგან წესდებულებისაგან, უმთავრესი ახ. რი ამ საქველ მოქმედო დადგენილობისა არის მიაცეს შემწეობა აღნიშნული სასწავლებლის ღირებ მოწაფეთა, რომელთაც ხედებათ დიდი დაბრკოლებანი სკოლურ ცხოვრებაში—მოწაფეთა, რომელთაც არა აქვთ არავითარი საშუალება დასაკმაყოფილებლად თვით მოსწავდეთა უპირველეს მოთხოვნილებათა. ქუთაისის სასულიერო სასწავლებლის სამმართველოს ამ კვილის განხრახვას ევგენები, ჩემის მხრით, ქრისტიანული სიხარულით და ესთელი საქორად მივაქციო თქვენი ყურადღებაც, ჩემო თანამოსამსახურენო, შემდეგ: დიდი ხანია, ნაგონობია საქორება ძმობის დაარსებისა ქუთაისის სასულიერო, მრავალ ყმაწვილებიან სასწავლებელთან, რომელშიდაც სწავლობენ ისეთი ობლები და ისეთი ღირები მშობლების შეღონი, რომელთაც არ მოეძებნათ ლუკმა პურიც და ამიტომ იძულებულნი არიან მიატრონან სასწავლებელი და დარჩენ გაუნათლებლნი და ამგვარად გახდნენ მსხეტრპლნი სიღარიბისა და სიღატაკისა. ჩვენ, სულიერნი მწყემსნი, რომელნიც,

უმთავრესად, ეკლესიულნი ვართ ეგრეთვე ჩვენ თანამომცთა შეღობზე, ამ შემთხვევაში მავალითი უნდა მივსვთ სხვათა და ამიტომაც პირველად ჩვენ უნდა გაუწოდოთ ხელი სასწავლებლის ღირებ მოწაფეთ და შევიტანოთ შეწორულება ძმობის კასსაში, რომ ამ სახრით ძმობა აღარძინდეს და აყუადეს. ამისათვის საქორ არ არის დიდი შეწირულებანი, რომელნიც აღმატებნიან ჩვენს შეძლებას, არამედ საქორა შევიგნოთ ამ სწორეთ ქრისტიანული დადგენილობის საგრებლობა, რომელსაც სახეში აქვს მისცეს საქმელი, ტანთსაცმელი და უსაქორიკი ნიეთები ახალს თაობას, იმ იმედით, რომ იგინი იქნებიან სასარგებლო წერნი სახელმწიფოსა და ეკლესიისა. მამანო და ძმანო! ჩაყურეთ წვეუებად ამა ძმობისა, რომელიც იქნება ბრძული ხელმძღვანელობის და დამუჯრელობის ქვეშე ჩვენი ძკოუანი წყევმსმითავრის, ყოვლად სამღვდლო იმერეთის ეპისკოპოსის გამორიღისა და ამით უზრუნველ ჰკავიეთ თქვენი შეილებს მომავალი მდგომარეობაც.

### და ა დ გ ა ნ ე ს :

ჩვენ, სამღვდლო და საეკლესიო მოსამსახურეთ კულაშის საბლადოჩინოსისა, მოვისმინეთ შინაარსი ქუთაისის სასწავლებლის სამმართველოს მოწერილობისა ამ სასწავლებელთან დაარსებულა ძმობის შესახებ წმ. დავით აღმაშენებლის სახელობაზე, შინაარსი ძმობის წესებისა და წინადადება ჩვენის ბლადოჩინოსის კანდელაკისა ამ დაწესებულების დაუფავებელი სარგებლობის და ამ ძმობის წვერებად ჩაყურის შესახებ, განეცხადეთ, რომ ჩვენ ყველანი ღირები ვართ: თითოეული ჩვენგანი იხდის ქუთაისის სასულიერო სასწავლებლის შესანახავად ნახევარს იმა ჯამგირისას, რაც გვეძლევა ხაზინისაგან; სამრველოსაგან შემოსავალი სულ თან და თან კლებულობს, განსაკუთრებით ამ უკანასკნელს წლებში; მაგრამ მიუხედავთ ამისა, ვამსკველულნი ქრისტიანულის მხრუნველობით ღირებ მშობელთა შეილებს შესახებ, რომელთაც სწუტრიანთ განათლება, მაგრამ არა აქვთ შეძლება ამისათვის, ესკანით მათთვის ფრად



სასარგებლოდ აღნიშნული ძეგლის დარსება და თანაგრძობით მიეცემა ჩვენი ბალაოჩინის წინადადებას, განვახდინოთ სურვილი ჩვეურობით ამ ძეგლის წყობა და ყოველ წლით შევიტანოთ ქვემოთ აღნიშნული ხვედრი ფული. შესდგეს ამ საგნის შესახებ ყურნალი, რომელიც ექმნეს ჩვენ ყველასგან ხელმოწერილი; პირი ამა ყურნალის გაუგზავნოს გაზეთის შემწეობის რედაქციას და აბეჭდოს, ხოლო თვით ყურნალი ექმნეს ბალაოჩინს სახელმძღვანელოდ და აღსარულბლად. ფულები ყოველ წლით შეკრიბოს ჩვენგან ბალაოჩინმა თავისი კაცის ხელით და აღმოაჩინოს გაუგზავნოს ძეგლის კომიტეტს.

1. თავამჯდომარე კრებისა, ბალაოჩინი  
ერმალოზ კანდელაკი . . . . . 10 მ.

თანამგწენი მისი:

2. მღვდელი მაქსიმე კანდელაკი . . . . . 3 >  
3. მღვდელი ზოსიმე შანიძე . . . . . 3 >

მღვდელნი:

- 4. ტატანე მიქაძე . . . . . 5 >
- 5. პორფირე კანდელაკი . . . . . 3 >
- 6. იოსებ კანდელაკი . . . . . 3 >
- 7. ნიკოლოზ კებულაძე . . . . . 3 >
- 8. იაკინთე კანდელაკი . . . . . 3 >
- 9. სიმონ მიქაძე . . . . . 3 >
- 10. ლუკა კანდელაკი . . . . . 3 >
- 11. მაქსიმე კალაძე . . . . . 3 >
- 12. ონისიმე სანიკიძე . . . . . 3 >
- 13. სამსონ შენგელია . . . . . 3 >
- 14. თადეოს ყიბლაძე . . . . . 3 >
- 15. მათე კალაძე . . . . . 3 >
- 16. პეტრე ქუთათელაძე . . . . . 2 >
- 17. მიხეილ კანდელაკი . . . . . 1 >
- 18. სპირიდონ ნიკურაძე . . . . . 1 >
- 19. გიორგი შენგელია . . . . . 1 >
- 20. პაველ შენგელია . . . . . 1 >
- 21. ბიჭოფან მიქაძე . . . . . 2 >

მთავარ-დიაკონნი:

- 1. ბეჩარიონ გელიევილი . . . . . 2 მ.
- 2. ევთიმე ლექვაძე . . . . . 1 >
- 3. ევთიმე მიქელაძე . . . . . 1 >
- 4. ერასტი ყიბლაძე . . . . . 1 >
- 5. ანდრია ქუბურაძე . . . . . 50 კ.

მღვდელთნენი:

- 1. ვასილი რატიანი . . . . . 2 >
- 2. სამსონ კანდელაკი . . . . . 2 >
- 3. სილოვან კანდელაკი . . . . . 2 >
- 4. ზაქარია აბულაძე . . . . . 2 >
- 5. პეტრე ჯიბლაძე . . . . . 1 >
- 6. ანდრია ჯიბლაძე . . . . . 1 >
- 7. რომანოზ გელიევილი . . . . . 1 >
- 8. ბართლომე კალაძე . . . . . 1 >
- 9. ლაზარე მიქაძე . . . . . 1 >
- 10. მიხეილ შენგელია . . . . . 50 კ.
- 11. ივანე არეველაძე . . . . . 1 >
- 12. ქრისტეფორე აბულაძე . . . . . 1 >
- 13. როსაფა კანდელაკი . . . . . 1 >
- 14. მეფოდი შუბლაძე . . . . . 1 >
- 15. ებიფანე ბოკერიძე . . . . . 1 >
- 16. პეტრე კახიანი . . . . . 1 >
- 17. ანდრია კანდელაკი . . . . . 1 >
- 18. გერმანე კანდელაკი . . . . . 2 >
- 19. დამენტი ზანტაძე . . . . . 1 >
- 20. ივანე კობრიძე . . . . . 1 >
- 21. პორფირე ჯიბლაძე . . . . . 1 >
- 22. ფილიპონ ცინცაძე . . . . . 1 >
- 23. სიმონ გელიევილი . . . . . 1 >

ზედამხედველი კულაშის ნორმალური სასწავლებლისა, კონსტანტინე მკურნალი ჩვეურობით ძეგლის ნამდვილ წყობად, — 3 მანეთი.

ბალაოჩინი კულაშის საბალაოჩინო მარხისა,  
მღვ. ერმალოზ კანდელაკი.

# ახალი ამბები და შენიშვნები.

ულწიმადის სინოდის ობერპროკურორმა და სახელმწიფო ქონებათა მინისტრმა მოილაპარაკეს და გარდასწყვიტეს, ყოველ წლივ გადასდონ საქირო ფული და საეკლესიო-სამწიფო სკოლებში შემოადგებინონ სწავლება სასოფლო მეურნეობისა.

\* \*

17 ამ თვისის თბილისი სასულიერო სასწავლებელში წლიური კრება დაწყდა სამღვდელურებისა. უმთავრესი საგანი, რომელიც ამ კრებას უნდა განეხილა, შემდეგი იყო, როგორც ჩვენს მკითხველებსაც მაგისტრებთან, თბილისის სასულიერო სასწავლებლის შერობა გააფართოვოს, ძველს შერობას ახალიც მიაშენოს. ამ ახალს შერობას, გარდა იმ თავითუ გარდაწყვეტილის 19,507 მანათისა, კიდევ მეტი მოსაძიებოდა—2571 მან. კრებამ ამ ელისი გარდასახვდა ჯერ ერთი ის ფული გადასდო, რომელიც მისწავლევეს სწავლის ფულად შეაქვთ, და მეორეც ზოგს მიიღარს ეკლესიასაც შეაწირეს ხარჯი. ამას გარდა, ხსენებულს კრებას სასწავლებლის გამგეობამ კრებოდენი ხარჯი სხობოვა ყმაწვილების შენახვის გასაუმჯობესებლად. კრებამ უარი არ განაცხადა ამაზე და ახლის ხარჯის საფარულიდ მოითხოვა ნიძუშები ყმაწვილების ტელანდელის ტანთ-საცმელისა. შემოიტანეს კრებაზე ნახშირი ხალათები, გასინჯეს და მეტად უსუფთაო აღმოჩნდა: ამის გამო სამღვდლონი უსიამოვნოდ შეიქნენ და გაცხარებული ლაპარაკი აუტყდათ. კრებამ სხობოვა სასწავლებლის ზედამხედველს, მეტო ყუარდლება მაქცილთ ბავშვების სისუფთავესა, ასანო შივ სასწავლებელშივე ვაპირეთა და, რაც ამ საგნისთვის ხარჯი იქნება საქირო, იმისი ნუხა მიკრპისი კრებაზე წაბოკეიდავითა. მესამე საგანი შემდეგი იყო: აღმზრდელნი სკოლისა თხოვლობოდნენ, თითო ოთახი და სადღიო მოგვეყიეთა. (ცხლა ორს აღმზრდელს ერთი ოთახი აქვს). კრებამ ჯერ გარდასწყვიტა, შევირულებათ თხოვნა აღმზრდელებისა, მაგრამ შემდეგ, სასწავლებლის ზედამხედველის რჩევით, იმ ყოფაშივე დასტოვა ეს საქმე, როგორც აქამდე იყო. (ივერია)

\* \*


საქონისა

ქართული წიგნების გამოცემელმა ბამ სასულიერო სტამბა შეიძინა 8,050 მანათლად. დიდად სასიამოვნო ამბავია ეს ამბავი, იმედია, ამას შემდეგ ამ საზოგადოების საქმე უკეთ წავა და გამოვაოლკელებო კიდევ მისი მოღალწეობა. (ივერია).

\* \*

გურია-სამეგრელოს ეპარქიის მღვდლის ეპისკოპოსი ახალიასავან ჩვენ მივიღეთ შემდეგი წერილი:

მამა რედაქტორო! ჩვენი მარტვილის სახლადონო ეკლესიების რეკვიზის დროს ამ წელში დავიღობითა ბლადონისა დიდი ყუარდება მიქცია ეკლესიების გაუმჯობესების საქმეს—იგი უგაგაღან ჭკნება ხალხს და აკონება მათ მათი ეკლესიების გამშენების საჭიროებას; ესეთიმა შეგონებამ კიდევ დიდი გავლენა იქონია ხალხზე, ასე რომ მას აქვთ თითქმის შველა ეკლესიაში შემოდის შეწირულება, მკვალითებრ, ამ მოკლე ხანში რწმუნებულს ჩემდამო ნაკავებს მცხოვრის ეკლესიას შემოსწავს; გაბიჯდა და თადა მიქცაის მეთ უდარჯავამ—ამენეს თავის სარჯით მიქენიარა ხის სამრეკლო, დირბული 120 მანეთისა; მაქსიმე სივლს ძე ვაგნავამ—2 დიდი ფრანკის შნადლი, დირ. 30 მ., მანსოვრის და დვითის-მშობლის ხატება 2 უარცხლისა ოქროში დაფრეილი, დირ. 40 მან., კანდელი, დირ. 3 მ. თავის ზეთით სამუდამად; პაქლე ხახუს ძე უდარჯავამ—გარდაამოსხნა, დირ. 12 მ., თეგლორე კონას ძე სილაგავამ—ორა დროშა, დირ. 30 მ.; ლეკან კოსტას ძე უდარჯავამ—1 ხატცხური ფრანკისა, დირ. 5 მ., ნიკო ივას ძე უდარჯავამ—ერთი ფრანკი, დირ. 12 მ. და მაქსიმე ბეკოს ძე უდარჯავამ—მანსოვრის ხატი, დირ. 3 მ., სრულად შემოსწავს ყველამ ნავთები, დირბული 255 მანეთისა.—ესრეთა შეწირულება მრეკლთაგან სწორედ დირსია ყუარდლებას და გთხოვთ, ნება გვიბოძოთ, მადლობა გამოუტყვადთ თქვენის პატრიარქულას გაზთვის საშუალებათ შემოსწავნებულ პირთა და მათს ანგობოთათი, რომ ესრეთის მათის შეწირულებისათვის ისინი ადგილობრთის მღვდლის მტერ იქნებან წარმოს დროს ნიდავ მოხსენებულნი.





საქართველოს  
ინფორმაცია

მიიღება ხელის-მოწერა 1892 წლისათვის ორ კვირის ვადისათვის მარტულს

# „მწყემსხეღ“

რუსულ «ПАСТЫРЬ»-ზე

მიზანი და დანიშნულება გახეთისა: 1) შეატყობინოს სამღვდლო და საერო წოდებას ყველა განკარგულება და მოქმედება უმაღლესთა სასულიერო და სახორციელო მართებლობათა, კონსისტორიათა და მღვდლო-მთავართა; 2) გაავრცელოს ქართველ სასულიერო წოდებაში და ხალხში საღვთისმეტყველო სწავლება და ცოდნა საეკლესიო და საზოგადოებრივი ცხოვრების კითხვათა შესახებ; 3) გაავრცელოს საქართველოს სამღვდლო და საერო წოდებაში სწავლა და მღვდლო-მთავართა ქრისტიანობრივი კეთილ ზნეობისა და სარწმუნოებისა და 4) აღუხსნას და განუმარტოს სამღვდლო და საეკლესიო მოსამახსოვრებელი ზოგიერთი საეკლესიო კითხვები, რომელთა ცოდნა მიუცილებელ საქმეობას შეადგენს მათთვის მტკიცდ მათი მოვალეობის აღსრულებისათვის.

მიზანი და დანიშნულება რუსული გამოცემისა, ზემოხსენებულის პროგრამის აღსრულების გარდა, არის—1) შეატყობინოს რუსეთის სასულიერო და საერო წოდებას შინაარსი შესანიშნავი და საინტერესო მწყემსხეღ-ში დაბეჭდილ სტატიებისა; 2) გააცნოს რუსეთის სასულიერო და საერო წოდებას საქართველო, ეს დაზოგარებული კუთხე რუსეთის იმპერიისა და საქართველოს სასულიერო და საერო წოდება ქართული გამოცემის საშუალებით გააქნოს რუსეთის სასულიერო მწერლობას და ხალხის ცხოვრებას.

## ფასი გასეთისა:

12 თეთი «მწყემსხეღ» ნ.მ. 6 თეთი «მწყემსხეღ» 3 მ.  
 — ,, ორივე გამოცემა — ,, ორივე გამოცემა 4  
 — ,, რუსული ,, 3 მ. — ,, რუსული ,, 2 მ.

რედაქცია აქვს კანტორები: ქუთაისში ხანანაშვილების სახლებში და ვეირაღაში რედაქტორის საკუთარ სახლებში.

მაზეთზე ხელის-მოწერა შეიძლება როგორც ვეირაღაში, აგრეთვე ქუთაისშიაღ.

ზარეშე მცხოვრებთა გახეთის დაბარება შეუძლიათ ამ აღრესით: Въ Квирлы, въ редакцію газетъ „МЦЕМСХ“ и «ПАСТЫРЬ».

მიღება ხელის-მოწერა 1892 წლისათვის ორ თვიურ საემწელო სურთიდან ჟურნალ

# „ჯეჯილზე“

წელიწადში გამოვა სულ 6 წიგნი, და თითო წიგნი იქნება ოთხი-და-ხუთამდე ნაბეჭდი თაბანი, ანუ 64—80-დ გვერდი დიდის ფორმატისა.

«ჯეჯილში» დაბეჭდება: მოთხრობანი, ლექსები, ზღაპრები, მოგზაურობის და შესანიშნავ-კაცო-ცხოვრების აღწერა, პოემები, მოკლე ამბები, სამეცნიერო წერილები, საბავშვო სათამაშონი და სავარჯიშონი, სამთვამტკიცო ამოცანები, იგავები, ანდაზები, გამოცანები, წარწერა, რებუსები და სიმღერები ნოტებით.

ჟურნალში მონაწილეობის მღება აღვითქვეს ყველა ჩვენმა საუკეთესო მწერლებმა.

ჟურნალი «ჯეჯილი» თბილისში დატარებით ეღირება—3 მანეთი, თბილის გარეშე ვაგონით 4 მან.

ცალკე ნომრის ფასი იქნება 60 კაპ.  
 ხელის მოწერა შეიძლება მხოლოდ წლით და ნახევარი წლით.

ხელის მოწერა მიიღება:

- 1) თბილისში— წერა-კითხვის საზოგადოების ენ-ელვარიაში (Дворцовая ул., д. Зем. Банка, № 125) და თით «ჯეჯილის» რედაქციაში Краснойгорская ул. д. Назарова № 7).
- 2) ქუთაისში—მ. ნიკოლაძისას.
- 3) გ. ო. შ. შ. —მ. შურტელაძისას.
- 4) ბათუმში—მ. ნიკოლაძის განვითარებაში.
- 5) საჩხერეში—უარაჩან ჩხეიძისთან.

შოსტავ აღრესი: Въ Тифлисъ, въ редакцію грузинскаго дитскаго журнала «ДЖЕДЖИЛИ» რედაქტორი-გამომცემელი ახ. თუმანიშვილი—წერეთისას.

შინაარსი: იმერეთის სამღვდლოების დაზოგადოებისა ქ. ქუთაისში.—საქართველოს წეს-წესობებისა ისტორიისა.—მაღალ უსაღვლოებისა იანანეკე, მიტროპოლიტი კუკუსისა და გალიციისა.—ერთი შესანიშნავი შინის აზრი ქართველ მღვდლებსად, რომელნიც მსახრებუნ კავკასიას სამხედრო ვაწში.—ჟურნალური დადგენილება კულაშის საზოგადოებისა ოქტის სამღვდლოების სწავლისა.—ახალი ამბები და შესწავლება და განხილვები.

რედაქტორი და გამომცემელი დეკ. დ. დამბაშიძე. Лоз. цензурою. Кутаисъ, 30 Декабря 1891 г. Типография редакци(П. Д. Гамбашидзе) Въ Кутаисѣ, помѣш. въ доми бр. Ханановыхъ на Нѣмецкой ул.

